

**2016 წელში ჩატარებული იქნა შემოწმება შემდეგ ა(ა) ი.პ.-ებსა და შ.პ.ს. –ებში:**

1. ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრი“;
2. ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“;
3. ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრი“;
4. ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის სახლი“;
5. ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრი“;
6. შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“;
7. ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანება“;
8. ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის და ტურიზმის განვითარების ცენტრი“;
9. ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებასა და სანიაღვრეობის განვითარების ცენტრი“;
10. ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი“;
11. შ.პ.ს. „ტექნოსერვი“.

შემოწმებები ხორციელდებოდა გამგებლის მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმისა და სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით.

**ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრში“**

ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრის“ ფუნქციონირების საფუძველია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები. 2015 წელს ბიუჯეტით განსაზღვრული იყო სუბსიდია 78 172 ლარი; ცენტრის მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულების თანხა შეადგენს 6 717,73 ლარს; კერძოდ გაკეთებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

2015 წელს ნაშთის ჩათვლით ცენტრის საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 7 205,40 ლარი; საიდანაც თანამშრომლებზე გაცემულია პრემია 3 720 ლარი და სახელფასო დანამატი 2 300 ლარი, რომელიც არ იყო შეთანხმებული დამფუძნებელთან. საქონელი და მომსახურება 3 710,4 ლარი; კერძოდ (მივლინება 186 ლარი; ოფისის ხარჯი 1 648 ლარი; ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციის და მოვლა შენახვის ხარჯები 626,40 ლ და სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 1250 ლ ); 2015 წელში მიღებული სუბსიდიიდან 7 825,90 ლარიდან დახარჯულია: თანამშრომელთა ხელფასებზე 65 090 ლარი, სხვა საქონელი და მომსახურება 11 770,90 ლარი; მათ შორის (შტატგარეშე თანამშრომლებზე ხელფასი გაცემულია 2 320 ლარი, ოფისის ხარჯები 2846,10 ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციის და მოვლა შენახვის ხარჯები 5 935,90 ლარი სხვა დანარჩენი ხარჯები 668,90 ლარი); არაფინანსური აქტივების ზრდა 1 395 ლარი;

შიდა აუდიტის სამსახურის მოსაზრებით ცენტრის ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტით შემოწმების აქტით გამოვლენილი დარღვევების, შეუსაბამობის და შენიშვნების გათვალისწინებით შეფასებულია რისკის შემცველად .

## **ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი “**

გარემოება: 2015 წელს სუბსიდიის ოდენობა შეადგენს 91 700 ლარს, საკუთარი შემოსავალი 3 9326 ლ. სულ 131 026 ლარი. სულ გაწეულია ხარჯი 127 222,90 ლარი; ხელფასის სახით გასცა 5 5863,40 ლარი; წარმოდგენილი ხელფასის უწყისების მიხედვით ორგანიზაციის თანამშრომლებზე გაცემული თანამდებობრივი სარგო შეადგენს 55 863,40 ლარს; ხოლო

დანარჩენი 9 695,20 ლ წარმოადგენს თანამშრომლებისთვის ხელფასის სახით გაცემულ თანხას, რომელიც დაფინანსებული იქნა პროგრამით.

ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის „მალარისაა და სხვა პარაზიტული დაავადებების პროფილაქტიკისა და კონტროლის გაუმჯობესება კომპონენტის ფარგლებში გასათვალისწინებელი მომსახურებისათვის 1 369,20 ლ.

ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებულ სჯდ ცენტრებისათვის ეპიდზედამხედველობის ,იმუნიზაციისა და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა ფარგლებში მომსახურების დაფინანსების კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურებისთვის 7 140 ლ;

ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის „მალარისაა და პარაზიტული დაავადებების პროფილაქტიკისა და კონტროლის გაუმჯობესება კომპეტენციის ფარგლებში მალარიის კერებში გადამტანის წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების მომსახურებისათვის 2560 ლარი;

2015 წელს ცენტრის საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 36 289,90 ლ ხოლო გასავალმა 36 939,2 საიდანაც დახარჯულია თანამშრომლების ხელფასებზე 7 483,40ლ;

2015 წელს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის მიღებული თანხით შესრულებულ სამუშაოებზე არ არის შედგენილი ხარჯთაღრიცხვები,რის გამოც ვერ დგინდება რა რაოდენობის ხელფასი უნდა გაცემულიყო აღნიშნულ სამუშაოებში დაკავებულ თანამშრომლებზე.ასევე საწვავისა და სხვა დანახარჯების ოდენობით.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობას მიეცა რეკომენდაცია ნაღდი ანგარიშსწორების გამორიცხვით საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგება აწარმოოს (სახელფასო განაცემები) მხოლოდ ელექტრონული,საბარათე ანგარიშებზე დარიცხვის სახით.

**ა(ა)ი.პ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფერმერული**

## განვითარების ცენტრი

ცენტრის შემოსავალმა 2015 წელს სუბსიდიის სახით შეადგინა 188 183 ლარი, საკუთარმა შემოსავალმა 1 800 ლარი;

გარემოება : 2015 წელს ცენტრის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით ხელფასის სახით გასცა 88 908 ლ. წარმოდგენილი ხელფასის უწყისების მიხედვით ორგანიზაციის თანამშრომლებზე გაცემული თანამდებობრივი სარგო შეადგენს 33 145 ლარს, ხოლო დანარჩენი 57 763 ლარი წარმოადგენს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლით ხელშეკრულებით აყვანილ თანამშრომლებზე გაცემულ ხელფასს;

ორგანიზაციის საქმიანობისათვის მაღალი რისკის შემცველია და გამოსასწორებელია შემდეგი საკითხები: შემოწმების პერიოდში ცენტრს დამტკიცებული აქვს 2015 წლის ძირითადი ფინანსური დოკუმენტი (ორგანიზაციის ბიუჯეტი), რომელმაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში ცვლილება განიცადა ათჯერ. შემოწმებით ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაშიფვრის შედეგად წარმოდგენილი ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები არ შეესაბამება ფაქტიურად გაწეული ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციას. ორგანიზაციის წესდების მე-3 მუხლის მე-2 ქვეპუნქტით ორგანიზაციის ხელმძღვანელი მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით ამტკიცებს სტრუქტურას, საშტატო განრიგს და სახელფასო ფონდს. ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ დაზუსტებული საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი არ არის შეთანხმებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკრებულოსთან და დამტკიცებული გამგებლის მიერ.

ცენტრის შემოსავალმა შეადგინა 19 600 ლარი, აქედან სუბსიდიით შემოსავალმა 188 800 ლარი; საკუთარი 1 800 ლარი, რომელიც ასახული არაა ბიუჯეტის შესრულებაში და არც ბუღალტრულ ანგარიშგება-აღრიცხვაში.

საკუთარი შემოსავალი 1 800 ლარი კერძოდ დადებულია ხელშეკრულება 40 ფიზიკურ პირთან ლანდრასის ჯიშის ღორის გენეტიკური მასალით განაყოფიერებაზე (ანაზღაურება 40 ლარი); აღნიშნული თანხით უნდა მომხდარიყო გენეტიკური მასალის შეძენა ,განხორციელებულიყო სხვა ხარჯები, რაც ასახული არ არის ბუღალტრულ აღრიცხვაში, არ არის გაკეთებული ხარჯთაღრიცხვა.

## ა(ა)ი.პ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის კულტურის სახლი“

2015 წლის სუბსიდიის ოდენობა შეადგენს 135 300 ლარს, ხოლო საკუთარი შემოსავალი შეადგენს 9 790 ლარს ;

გარემოება: 2015 წელს ხელფასის სახით გასცა 125 914,50 ლარი, ხელფასის უწყისების მიხედვით ორგანიზაციის თანამშრომლებზე გაცემული თანამდებობრივი სარგო შეადგენს 122 994,50 ლარს, ხოლო დანარჩენი 2 920 ლარი წარმოადგენს თანამშრომლებისათვის პრემიის სახით გაცემულ თანხას, რომელიც შეთანხმებულია დამფუძნებელთან .

1. შრომის ანაზღაურება - 120 422,50;
2. საქონელი და მომსახურება - 13 690 ლარი; მათ შორის (პრემია , დანამატი 2 920 ლარი)
3. სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი ხარჯი 1 177,50 ლარი;

საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 9 790 (მათ შორის 2015 წლის ნაშთიდან 1 373) სულ 11 163,60 ლარი საიდანაც დახარჯულია ხელფასი მუსიკალური სტუდიის მასწავლებლებისათვის 5430 ლარი; საქონელი და მომსახურება 4 426,60 ლარი ; სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი ხარჯი 1 272,50 ლარი; 2016 წლის 1 იანვრისათვის ერიცხება ძირითადი საშუალებები თანხით 222 392,43 ლარი;

ორგანიზაციას შეძენილი აქვს ნავთობპროდუქტები (ბენზინი 840 ლიტრი 1495,50 ლარის ღირებულების. საწვავის ჩამოწერა განხორციელებულია მხოლოდ დირექტორის მიერ ბრძანებით ლიმიტის შესახებ. ჩამოწერა კი უნდა მოხდეს ფინანსთა მინისტრის 230 ბრძანების შესაბამისად. რაც ორგანიზაციისთვის გასათვალისწინებელია.

## ა (ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“

2015 წელს მუნიციპალური მომსახურების ცენტრის შემოსავალმა შეადგინა სუბსიდიის სახით 90 4367,60 ლარი; საკუთარი შემოსავალი შეადგენს 2 515 ლარს; სულ 906 382,60 ლარი; 2015 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა ნაშთი 3 793,36 ლარი;

შემოწმებით ცენტრის საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრმა ხელფასმა შეადგინა 611 185 ლარი, რომლის მიხედვით იქნა გაანგარიშებული საშემოსავლო გადასახადი 122 237 ლარი; ბიუჯეტში გადახდილია 121 790 ლარი, 447 ლარით ნაკლები (გამოწვეულია პიროვნებით, რომელიც სარგებლობს საშემოსავლო შეღავათებით); დამატებითი ღირებულების გადასახადი გაანგარიშებულია სწორად და ფაქტიურად ჩარიცხულია 62 437 ლარი;

2015 წელს ცენტრმა ხელფასის სახით გასცა 611 150 ლარი თანამდებობრივი სარგო შეადგენს 611 185 ლარს. ორგანიზაციაში საწვავის ჩამოწერა (ხარჯვა) ხდება ფაქტიურად გაცემული რაოდენობის და ოდომეტრის ჩვენების მიხედვით.

ორგანიზაციაში ინვენტარიზაცია უნდა ჩატარებულიყო საანგარიშო წლის ოქტომბრის თვემდე. ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, რითაც დარღვეულია 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

## შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“

2015 წელს შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტის“ შემოსავალმა სუბსიდიის სახით შეადგინა 75 550 ლარი, საკუთარი შემოსავალი 12 720 ლარი, სულ 88 270 ლარი. ანგარიშსწორებისას ანგარიშზე 2015 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა ნაშთი 147,20 ლარი;

2015 წელს შ.პ.ს.-ემ ხელფასის სახით გასცა 31 944,30 ლარი, თანამდებობრივი სარგო შეადგენს 29 481,80 ლარს, ხოლო დანარჩენი დანამატი 300 ლარი, თანამშრომლებზე პრემიის სახით გაცემულია 2 162,50 ლარი, რომელიც არ არის შეთანხმებული დამფუძნებელთან.

დამტკიცებული აქვს საწვავის ლიმიტი 910 ლიტრი თანხით 1 393,30 ლარის. საწვავის გაცემა ხდება ტალონის მეშვეობით, საწვავის ჩამოწერა განხორციელებულია მხოლოდ დირექტორის მიერ ბრძანებით ლიმიტის შესახებ. რომელიც სრულყოფილი არ არის. საწვავის ჩამოწერა უნდა მოხდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის N 230 ბრძანების საფუძველზე.

შ.პ.ს. „მუნიციპალურ ტრანსპორტში“ ირიცხება 5 ავტობუსი. ბუნებრივ აირზე მომუშავე ტრანსპორტზე არ არის დადგენილი საწვავის ხარჯვის რაოდენობა გარბენილი კილომეტრების მიხედვით, არ არის ნაჩვენები ოდომეტრის ჩვენებები. საწვავის ნორმის დადგენა ხდება საწარმოში შექმნილი კომისიის მიერ, რის საფუძველზე დაიდო დასკვნა, რომ 1 კილომეტრ განვლილ მანძილზე იხარჯება 0,3158 კმ საწვავი. საწვავის ჩამოწერის სიზუსტისათვის აუცილებელია ოდომეტრის შეკეთება. ორგანიზაციას მიეცა რეკომენდაცია იქონიონ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს მიერ წარმოდგენილი კალკულაცია ბუნებრივი აირის ხარჯვის სისწორე.

## ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

### სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანება”

2015 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე შემოსავალმა შეადგინა 59 831,0 ლარი ფაქტიურმა ხარჯმა 60 444,39 ლარი. 2015 წლის 1 აგვისტოსთვის ერიცხებოდა ნაშთი 613,57 ლარი;

შრომის ანაზღაურება 49 400 ლარი, მათ შორის ხელფასი 47 073 ლარი და პრემია 2 327 ლარი პრემია, რომელიც გაიცა და არ არის შეთანხმებული დამფუძნებელთან და არ არის გეგმით გათვალისწინებული გაერთიანების დაზუსტებულ ბიუჯეტში. 2015 წლის სუბსიდიის ოდენობა შეადგენს 114,9 ლარს.

გაერთიანების შემოსავალმა 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე შეადგინა 74 239,30 ლარი, ხოლო ფაქტიურმა ხარჯმა 74 239,30 ლარი; 2016 წლის 1 იანვრისათვის ერიცხებოდა ნაშთი 0,18 ლარი;

შრომის ანაზღაურება 69 400 ლარი (მათ შორის ხელფასი 69 400 ლარი) შემოწმებით გაერთიანების საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრმა ხელფასმა შეადგინა 69 440 ლარი,

რომლის მიხედვით იქნა გაანგარიშებული საშემოსავლო გადასახადი 13 888 ლარი. ბიუჯეტში გადახდილია 377,32 ლარით ნაკლები.

2015 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 1 იანვრამდე მონაცემებით გაერთიანების მიერ გამოცხადდა სულ 19 ტენდერი . მათ შორის ხელშეკრულება დადებულია 19 შემთხვევაში. შესყიდვების გეგმით განსაზღვრულია 13 254 ლარი, ფაქტიურად შეძენილია 7 874,30 ლარის.

2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე გამოცხადდა სულ 10 ტენდერი,მათ შორის ხელშეკრულება დადებულია 10 შემთხვევაში. 2016 წლის შესყიდვების გეგმით განსაზღვრულია 10 030 ლარი, ფაქტიურად 2016 წლის 1 აგვისტოსთვის შეძენილია 2 187,72 ლარის.

შემოწმებას დაქვემდებარებულ პერიოდში გაერთიანებაში სასაქონლო- მატერიალურ ფასეულობათა მარაგების ინვენტარიზაცია სრულად არ არის ჩატარებული.

## **ა(ა)ი.პ.,„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის და ტურიზმის განვითარების ცენტრი”**

2015 წელს ცენტრის დაზუსტებული სუბსიდიის ოდენობა შეადგენს 327 020 ლარს;შემოწმებით ცენტრის საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრმა ხელფასმა 2015 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 90 019,90 ლარი,რომლის მიხედვით გაანგარიშებული იქნა სასემოსავლო გადასახადი 19 932,78 ლარი. ბიუჯეტში გადახდილია 1 929 ლარით მეტი ( რომელიც გამოწვეულია გაფორმებულ სხვადასხვა ხელშეკრულებებით) 188 003,78 ლარი. ცენტრის ბუღალტერს მიეცა მითითება დეკლარაციების დაზუსტების თაობაზე. ცენტრის საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრმა ხელფასმა 2016 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით შეადგინა 146 735 ლარი, რომლის მიხედვით იქნა გაანგარიშებული საშემოსავლო გადასახადი 30 582 ლარი. ბიუჯეტში გადახდილია 1 235 ლარით მეტი ( რომელიც გამოწვეულია გაფორმებული სხვადასხვა ხელშეკრულებებით) 29 347 ლარი. ცენტრის ბუღალტერს მიეცა მითითება დეკლარაციების დაზუსტების თაობაზე.



გარემოება: 2015 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 1 იანვრამდე ხელფასის სახით გასცა 90 018,90 ლარი, წარმოდგენილი ხელფასის უწყისების მიხედვით ორგანიზაციის თანამშრომლებზე გაცემული თანამდებობრივი სარგო თვეში შეადგენს 18,3 ათ.ლარს ( 84 შტატით) . სუბსიდიით გაცემულია 86 856 ლარი, მათ შორის საკუთარი შემოსავლითგაცემულია ხელფასი მუსიკალურ სკოლებზე 3 162 ლარი.

ცენტრის ფუნქციონირების საფუძველია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები. 2015 წელს ბიუჯეტით განსაზღვრულია სუბსიდია 358100 ლარი მათ შორის :

1. შრომის ანაზღაურება -172 104 ლარი ;
2. საქონელი და მომსახურება - 181 996 ლარი;
3. არაფინანსური აქტივების ზრდა - 4 000 ლარი;

ცენტრის დირექტორის 2015 წლის 2 სექტემბრის N106 ბრძანებით მუსიკალურ სკოლებში განისაზღვრა სწავლების საათობრივი ბაღე. ცენტრის საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 3 162,90 ლარი, საიდანაც მუსიკალური სტუდიის მასწავლებლებზე ხელფასის სახით 2016 გახარჯულია 3 162,90 ლარი (საშემოსავლოს ჩათვლით).

2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე ფინანსური ანგარიშგების მიხედვით ცენტრმა ხელფასის სახით გასცა 146 737 ლარ, წარმოდგენილი ხელფასის უწყისების მიხედვით ორგანიზაციის თანამშრომლებზე გაცემული თანამდებობრივი სარგო რომელიც დამტკიცებულია ცენტრის 2016 წლის N2 ბრძანებით თვეში შეადგენს 21 525 ლარს (89 შტატით) და შტატგარეშე თანამშრომლების ხელფასი 1 224 ლარი; მათ შორის (მუსიკალური სკოლის მასწავლებელთა საათობრივი ბაღე ხელფასით ხელფასით 784 ლარი, ასევე ერთი მწვრთნელი 350 ლარი, დამლაგებელი 45 ლარი, პიანინოს ამწყობი 45 ლარი) სუბსიდიით გაცემულია 146 735 ლარი.

2016 წელს ბიუჯეტით განსაზღვრულია სუბსიდია 342 800 ლარი;

1. შრომის ანაზღაურება -248 820 ლარი;
2. საქონელი და მომსახურება -38 700 ლარი;

3. სხვა საქონელი და მომსახურება - 55 280 ლარი;

2016 წელს მუსიკალურ სკოლაში ირიცხება 39 მოსწავლე. შემოტანილია თანხა 3 126,9 ლარი. 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე ცენტრის საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 9 114 ლარი, საიდანაც დახარჯულია საქონელი და მომსახურება 1 125 ლარი და სხვა ხარჯები 7 989 ლარი;

2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე მონაცემებით ცენტრის მიერ გამოცხადდა 117 ტენდერი. მათ შორის ხელშეკრულება დადებულია - 117 შემთხვევაში. 2015 წლის მონაცემებით ცენტრის შესყიდვების გეგმით განსაზღვრულია 150 434,33 ლარი, 2015 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 1 იანვრამდე ფაქტიურად შექენილია 73 222,43 ლარის.

2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 აგვისტომდე ცენტრის მიერ გამოცხადდა სულ 84 ტენდერი. მათ შორის ხელშეკრულება დადებულია 84 შემთხვევაში. 2016 წლის მონაცემებით შესყიდვების გეგმით განსაზღვრულია 37 119,84 ლარი ფაქტიურად 2016 წლის 1 აგვისტოსთვის შექენილია 37 039,44 ლარის.

საანგარიშო პერიოდში (01.08.2015-01.01.2016) დამტკიცებული აქვს საწვავის ლიმიტი 420 ლიტრი თანხით 657,30 ლარის ბენზინი. საწვავის ჩამოწერა (ხარჯვა) ხდება ფაქტიურად გაცემული რაოდენობის მიხედვით. საწვავის ჩამოწერა განხორციელებულია მხოლოდ დირექტორის მიერ ბრძანებით ლიმიტის შესახებ რაც არასრულყოფილია.

საანგარიშო პერიოდში (01.01.2016- 01.08.2016) დამტკიცებული აქვს საწვავის ლიმიტი 443,70 ლიტრი თანხით 606,50 ლარის საწვავის ჩამოწერა ხდება ფაქტიურად გაცემული რაოდენობის მიხედვით.

საანგარიშო პერიოდში (01.08.2015-01.01.2016) შემოსავალმა შეადგინა, 175 347,50 ლარი, გასავალმა 184 592,79 ლარი და ნაშთი 01.01.2016 წლისთვის შეადგენს 9 666,85 ლარი; საანგარიშო პერიოდში (01.01.2016-01.08.2016) რესურსი შეადგენს 227 200 ლარს, შემოსავალმა შეადგინა 257 320 ლარი გასავალმა 201 833,73 ლარი და ნაშთი 01.08.2016 წლისათვის შეადგენს 65 153,12 ლარი.

ორგანიზაციას მიეცა მიმართულება მოახდინოს 2015 წელში წარდგენილი საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის მონაცემების დაზუსტება შესაბამის პერიოდების მიხედვით. შემოწმებას დაქვემდებარებულ პერიოდში ორგანიზაციაში სასაქონლო - მატერიალურ ფასეულობათა მარაგების ინვენტარიზაცია სრულად არ არის ჩატარებული. ორგანიზაციას მიეცა რეკომენდაცია ყოველწლიურად ფინანსური წლის ბოლოს ჩატაროს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია და შედეგები ასახული იქნას საბუღალტრო დოკუმენტაციაში.

## **ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი“**

ცენტრის ფუნქციონირების საფუძველია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები. შემოსავალმა 2015 წლის 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე შეადგინა 653 929 ლარი, ხოლო ხარჯმა 616 849,17 ლარი. 2015 წლის 1 სექტემბრისათვის ერიცხებოდა ნაშთი 2 752,17 ლარი, 2016 წლის 1 იანვრისათვის ერიცხებოდა ნაშთი 39 832 ლარი ;

2015 წელი : შრომის ანაზღაურება - 355 533,90 ლარი, მათ შორის ( თანამდებობრივი სარგო - 332 383,90 ლარი, პრემია 23 150 ლარი და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 2 966 ლარი) საქონელი და მომსახურება - 251 892 ლარი, მათ შორის : (მივლინება 81 ლარი, ოფისის ხარჯები 107 889 ლარი, მათ შორის მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი 39 092 ლარი, საოფისე ინვენტარის შეძენა - დამონტაჟების ხარჯი 14 417,10 ლარი, ოფისისათვის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენის ხარჯი 9 466,40 ლარი,საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის ,ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი 4 038,10 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯი 627, 70 ლარი, კომუნალური ხარჯი 42 088,70 ლარი. კვების ხარჯი - 137 655 ლარი; ბანკის მომსახურების ხარჯი 315,10 ლარი, ტრანსპორტის ,ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციის

,მოვლა- შენახვის ხარჯი- 1 549 ლარი,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 6 010,60 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 4 865,0 ლარი.

2016 წელი ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 1 316 300 ლარი, ხარჯმა 1 205 915,0 ლარი; მათ შორის შრომის ანაზღაურება - 878 215,73 ლარი მათ შორის ( თანამდებობრივი სარგო - 867 585,73 ლარი და შტატგარეშე მომსახურება ანაზღაურება 10 630 ლარი ); საქონელი და მომსახურება -331 529, 30 ლარი მათ შორის : (მივლინება 63 ლარი, ოფისის ხარჯები 122 028,40 ლარი, მათ შორის მცირეფასიანი საოფისე ტექნიკისა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი 28 324,10 ლარი,საოფისე ინვენტარის შეძენა-დამონტაჟების ხარჯი 43 011,60 ლარი, ოფისისათვის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენის ხარჯი 14 994,10 ლარი,საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა დანადგარების მოვლა-შენახვის და მიმდინარე რემონტის ხარჯი 5 196,80 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯი 1 377,70 ლარი, კომუნალური ხარჯი 45 522, 70მ ლარი; კვების ხარჯი 180 989,10 ლარი. ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციის მოვლა- შენახვის ხარჯი 2 028,80 ლარი. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება -15 790,0 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა 6 800 ლარი;

2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე ცენტრის მიერ გამოცხადდა სულ 93 ტენდერი მათ შორის ხელშეკრულება დადებულია - 93 შემთხვევაში. 2015 წლის მონაცემებით შესყიდვების გეგმით განსაზღვრულია 650 278 ლარი , 2015 წლის 1.09-დან 2016 წლის 01.01-მდე ფაქტიურად შეძენილია 152 239,45 ლარის.

2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 ოქტომბრამდე გამოცხადდა სულ 74 ტენდერი. მათ შორის ხელშეკრულება დადებულია - 74 შემთხვევაში; 2016 წლის შესყიდვების გეგმით განსაზღვრულია 774 826 ლარი ფაქტიურად 2016 წლის 1 ოქტომბრისთვის შეძენილია 276 649,92 ლარის;

საანგარიშო პერიოდში ( 01.09.2015- 01.01.2016 დამტკიცებული აქვს საწვავის ლიმიტი 1 180 ლიტრი თანხით 1 943,80 ლარის ბენზინი, ასევე დამტკიცებული აქვს დიზელის საწვავის ლიმიტი 640 ლიტრი თანხით 934,40 ლარი. საანგარიშო პერიოდში სულ შემოსავალმა შეადგინა 1 000 ლიტრი თანხით 1 549 ლარი ბენზინი, 2016 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი 300 ლიტრი. საწვავის ჩამოწერა (ხარჯვა) ხდება ფაქტიურად გაცემული რაოდენობის მიხედვით. საანგარიშო პერიოდში

(01.01.2016- 01.10.2016 დამტკიცებული აქვს საწვავის ლიმიტი 1 165,82 ლიტრი თანხით 1 590,82 ლარის ბენზინი . სულ შემოსავალმა შეადგინა 1 465,82 ლიტრი თანხით 2 028,82 ლარი ბენზინი , 2016 წლის 1 აგვისტოსთვის ნაშთი არ ირიცხება .საწვავის ჩამოწერა ხდება ფაქტიურად გაცემული რაოდენობის მიხედვით.

ცენტრში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა და მიეცა მითითება ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ.

### **ა(ა) ი.პ. ,, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წყალმაშველთა ჯგუფი “**

შემოწმებას დაქვემდებარებულ პერიოდში ორგანიზაციას დამტკიცებული აქვს 2015 წლის ძირითად ფინანსური დოკუმენტი (ორგანიზაციის ბიუჯეტი), დაზუსტებული საშტატო განრიგით ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის სახელფასო ფონდი ერთ თვეში 2016 წელს შეადგენს 9 200 ლარს .

2016 წელს სუსიდია შეადგენს 54 700 ლარს, ფაქტიურად დახარჯულია 54 620 ლარი მათ შორის გაცემულია პრემია 18 400 ლარი.

ორგანიზაციას მიეცა მიმართულება და რეკომენდაცია ყოველწლიურად ფინანსური წლის ბოლოს ჩაატაროს სასაქონლო- მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია და შედეგები ასახული იქნას საბუღალტრო დოკუმენტაციაში.

### **შ.პ.ს. ,, ტექნოსერვი “**

შ.პ.ს. ,,ტექნოსერვი“-ს ფუნქციონირების საფუძველია საკუთარი შემოსავლებით მიღებული სახსრები. 2016 წელს საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 249 517,86 ლარი. მათ შორის შრომის ანაზღაურება 104 133; საქონელი და მომსახურება 145 384 ლარი. ანგარიშსწორებისას ანგარიშზე 2016 წლის 1 იანვრისათვის ირიცხებოდა ნაშთი 38,23 ლარი.

გარემოება : 2016 წლის 1 იანვრამდე შ.პ.ს „ტექნოსერვის“ ფინანსური ანგარიშგების მიხედვით ხელფასის სახით გასცა 101 383,55 ლარი და პრემია 2 750 ლარი, წარმოდგენილი ხელფასის უწყისების მიხედვით ორგანიზაციის თანამშრომლებზე გაცემული ტანამდებობრივი სარგო შეადგენს თვეში 3 575 ლარს და მექანიზატორების ანაზღაურება არის საათობრივი.

დაზუსტებული საშტატო განრიგით ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის სახელფასო ფონდი ერთ თვეში 2016 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 3 575 ლარს. 2016 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით წლიური სახელფასო ფონდი შეადგენს 42 900 ლარს, შემოწმებას დაქვემდებარებული პერიოდისათვის სახელფასო ფონდი განსაზღვრულია 42 900 ლარით, ფაქტიურად დარიცხული და გაცემული სახელფასო დანახარჯები 2017 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 104 133 ლარს, ხოლო წლიურ სახელფასო ფონდს და წლიურ გაცემულ ხელფასს შორის სხვაობა გაცემული პრემია და დაქირავებული მომსახურების ხელფასებია 61 233 ლარი. სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები (საწვავი, სათადარიგო ნაწილები) დახარჯულია 60 107,42 ლარი . სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება ხარჯები ( სხვა დანარჩენი ხარჯები) დახარჯულია 85 276,58 ლარი;შემოწმებას დაქვემდებარებულ პერიოდში სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა მარაგების ინვენტარიზაცია სრულად არის ჩატარებული.

საწვავის შემოსავალმა საანგარიშო პერიოდში ( 01.01.2016-01.01.2017 ) შეადგინა 40 125 ლიტრი თანხით 54 085,30 ლარი დიზელი. საწვავის ჩამოწერა ხდება დირექტორის მიერ დამტკიცებული კალკულაციის მიხედვით.

შემოწმებით შ.პ.ს.-ს საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრმა ხელფასმა შეადგინა 104 133,50 ლარი, რომლის მიხედვითაც იქნა გაანგარიშებული საშემოსავლო გადასახადი 20 826,70 ლარი. ბიუჯეტში გადახდილია სრულად და შედარების აქტში დავალიანება და ზედმეტობა არ გამოვლინებულა.

შემოწმების პერიოდში დამატებით ღირებულების გადასადი გადახდილია 18 449 ლარი დეკემბრის თვეში გადასახადი შეადგენს 4 590 ლარს. გადახდილია სწორად და სულ შეადგენს 23 039 ლარს.

შემოწმებით დადგენილია შემდეგი ნაკლოვანებები : წარმოდგენილი კალკულაციით უნდა დადგინდეს შემდეგი: ერთი საათის მუშაობის შედეგად ე.ი. თითოეული სატრანსპორტო საშუალება ერთი საათის მუშაობით რა მოგებას უტოვებს საწარმოს, არსებული კალკულაციით მოგების და ამორტიზაციის თანხა არის შეერთებული ,რაც არასწორია. უნდა იქნას შეტანილი ცვლილება მოგება ცალკე და ამორტიზაცია ცალკე თანხის ჩვენებით.

შ.პ.ს. „ტექნოსერვის“ შესამოწმებელი 2016 წელი დაამთავრა მოგებით 5 158 ლარი, ამორტიზაციის გარეშე. დებულების თანახმად აღნიშნული თანხა ექვემდებარება ადგილობრივ ბიუჯეტში ამოღებას.

საზოგადოების ხელმძღვანელობას მიეცა რეკომენდაცია იქონიონ საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს მიერ წარმოდგენილი კალკულაცია.